სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 თებერვალი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/15

ბსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ბიზნესის ადმინისტრირების“, „ფინანსების“ და „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების“** (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„საჯარო მმართველობის“** (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი **აკრედიტაციის ვადა** განისაზღვრა 2025 წლის 1 მარტით (საფუძველი: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის წერილი MES 3 24 0001625396, 18/12/2024, რომელიც ეხება უსდ-ების ინფორმირებას 041 ბიზნესის და ადმინისტრირების ვიწრო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადის - 2025 წლის 1 მარტით განსაზღვრას, ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს **2025 წლის 4 თებერვლის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებით** აკრედიტაცია მიენიჭა ბიზნესისა და ადმინისტრირების კლასტერში კლასიფიცირებულ პროგრამებს, მათ შორის: **„ბიზნესის ადმინისტრირების“** (180 კრედიტიანი), **„ფინანსების“** (180 კრედიტიაინ) და **„საჯარო მმართველობის“** (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალაკრედიტებული 180 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებას გეგმავს 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან და შესაბამისად, იმავე დასახელების 240-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა სწავლის გაგრძელების მიზნით **მიზანშეწონილია გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა** „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი), „ფინანსების“ (180 კრედიტიანი) და „საჯარო მმართველობის“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლის უფლების მოპოვების მიზნით.

გამოცხადებული რიგგარეშე მობილობის ფარგლებში, მიზანშეწონილია „ბიზნესის ადმინისტრირების“ (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ ბიზნესის ადმინისტრირების (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა რიგგარეშე შიდა მობილობის გზით ჩაირიცხონ და გააგრძელონ სწავლა 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან „ფინანსების“ აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (180 კრედიტიანი), თუკი შესრულებული იქნება პირობა -

სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მესამე არჩევითი საგანი „მათემატიკა“.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №247, 04/11/2011 გადაწყვეტილების, საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №247, 04/11/2011 გადაწყვეტილების, ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების, ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის წერილის (MES 3 24 0001625396, 18/12/2024) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს **რიგგარეშე შიდა მობილობა** 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის:

1.1. **ბსუ-ს ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (სულ 860 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის;

1.2. **ბსუ-ს ,,ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (სულ 70 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის;

1.3. **ბსუ-ს ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (სულ 170 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის;

2. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით **გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ** (ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანებით დამტკიცებული **,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით ,,ა-„გ“** ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ჩანაწერების გარეშე) და **რიგგარეშე შიდა მობილობის მონაწილე სტუდენტებს მიეცეთ უფლება** <u>რექტორის ბრძანების გამოცემამდე</u> მათზე რიცხული სწავლის **საფასურის დავალიანება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **დაფარონ 2024-25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურთან ერთად.**

3. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და რექტორის მოადგილემ (მ. ხალვაში).

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**